



სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N-73

27 ივლისი ----- 2015 წელი

ქ. თბილისი

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ დირექტორის 2014 წლის 12 ივნისის N37 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

"პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 10 სექტემბრის №176/ნ ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზოგადოებრივი კოლეჯის "გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის" წესდების" მე-5 მუხლის „ე“ პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი "გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის" პროფესიულ სტუდენტთა საკვალიფიკაციო კომისიის შექმნის შესახებ“ სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ დირექტორის 2014 წლის 12 ივნისის N37 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული პროფესიულ სტუდენტთა საკვალიფიკაციო კომისიის დებულება ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად.
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში. (მის.: დ.აღმაშენებლის ხეივანის მე-12 კმ №6).

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი
"გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის"
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

[Handwritten Signature]
ნოდარ ხარაზიშვილი



სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“
საკვალიფიკაციო კომისიის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საკვალიფიკაციო კომისიის დებულება შემუშავებულია "პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის N120/ნ მე-2 პუნქტით დამტკიცებული „პროფესიული კვალიფიკაციათა ჩარჩოსა“ და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 10 სექტემბრის N176/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ წესდების“ შესაბამისად.
2. ეს დებულება განსაზღვრავს სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ საკვალიფიკაციო კომისიის საქმიანობისა და პროფესიული სტუნდენტებისათვის შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესს.
3. სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ საკვალიფიკაციო კომისიის მიზანია:
 - ა) პროფესიულ სტუდენტთა პროფესიული ცოდნისა და უნარების ფლობის დადასტურება, მათი სწავლის შედეგებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის გზით მათ მიერ შესაბამისი რაოდენობის კრედიტების ათვისების დადგენა და მათთვის შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება.
 - ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტების მიერ შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებული პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო მოცულობის კრედიტების, ყველა ზოგადი და პროფესიული სავალდებულო, აგრეთვე არჩევითი პროფესიული მოდულით გათვალისწინებულის, ათვისების დადგენა და მათთვის შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ცენტრი - სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“.
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია პრაქტიკული ცოდნისა და უნარების გამომუშავებაზე და სრულდება შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებით. პროგრამა აერთიანებს პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო სასწავლო კურსებს/მოდულებს. პროგრამით განისაზღვრება პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის დატვირთვა კრედიტებში, სწავლების მეთოდები და შეფასების ფორმები.
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი - დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო კრედიტების მოცულობა, მისაღწევი სწავლის შედეგები, იმ მოდულების ერთობლიობა, რომელთა სწავლის შედეგების მიღწევა აუცილებელია პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად, აგრეთვე შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების და პროგრამის

განხორციელების წინაპირობები, შესარჩევი სწავლების მეთოდებისა და შეფასების ალტერნატიული ჩამონათვალი.

4. პროფესიული კვალიფიკაცია - პროფესიული ცოდნისა და უნარების ფლობა, რაც დასტურდება ცენტრის მიერ გაცემული პროფესიული დიპლომით. პროფესიული კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს „პროფესიული კვალიფიკაცია“ შესაბამისი საფეხურისა და პროფესიული სპეციალიზაციის მითითებით.

5. საკვალიფიკაციო კომისია - ცენტრში შექმნილი კოლეგიური ორგანო, რომლის მიზანია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება.

6. პროფესიული დიპლომი - ცენტრის მკაცრი აღრიცხვის ფორმა, რომლითაც დასტურდება პროფესიული სტუდენტის შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია.

მუხლი 3. საკვალიფიკაციო კომისიის შექმნა.

1. ცენტრში იქმნება არანაკლებ 4 წევრისაგან შემდგარი მუდმივმოქმედი საკვალიფიკაციო კომისია, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2. საკვალიფიკაციო კომისიის წევრისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ცენტრის დირექტორი.

3. საკვალიფიკაციო კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე, კომისიის მდივანი და კომისიის წევრები.

4. საკვალიფიკაციო კომისია იკრიბება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დასრულებიდან გონივრულ ვადაში.

მუხლი 4. საკვალიფიკაციო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი

1. საკვალიფიკაციო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.

2. საკვალიფიკაციო კომისია მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გამამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

3. კომისიის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება კომისიის სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, კომისიის მდივანი და კომისიის წევრები. კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

მუხლი 5. პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების წესი

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კონკრეტულ საფეხურის პროფესიული სტუდენტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ათვისების შემდეგ მისთვის შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება ხორციელდება საკვალიფიკაციო კომისიის მიერ, რაც ფორმდება კომისიის ოქმით და მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.

2. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება დასტურდება ცენტრის მიერ გაცემული პროფესიული დიპლომით.

3. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების შემდგომ კურსდამთავრებულის მონაცემები წარედგინება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით და აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.

4. ცენტრის მიერ პროფესიული დიპლომების გაცემა და მასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული „სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ მკაცრი აღრიცხვის ფორმების (პროფესიული დიპლომისა და პროფესიული დიპლომის დუბლიკატის) გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის“ შესაბამისად.

მუხლი 6. საკვალიფიკაციო კომისიის შედეგების გასაჩივრება

საკვალიფიკაციო კომისიის გადაწყვეტილება პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებების თაობაზე შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

